ანკეტის მოპოვება შესაძლებელია ტაძრის მშენებლობის ფონდის ოფისში მისამართზე: თბილისი, პეკინის ქ. 28, ფონდი „ივერიისა“ ან ვებგვერდზე: www.makhata.ge

- თანხის გადახდა არ ხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორებით;
- საქართველოში მოქმედი ყოველი ბანკის ნებისმიერ ფილიალში გახსნილია ფონდ „ივერიისას“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404868318) ანგარიში. შემოწირულობის გაღების მსურველს შეუძლია მისთვის სასურველ ბანკში მხოლოდ ერთხელ მისვლა და ავტომატური გადარიცხვის მომსახურების ჩართვა, რის შემდეგაც მისი ანგარიშიდან ყოველთვიურად ჩამოიჭრება წინასწარ მითითებული თანხა და გადავა ტაძრის მშენებლობის ანგარიშზე.
- **პენსიონერებს** აქვთ შესაძლებლობა პენსიიდან სასურველი თანხა ყოველთვიურად გადარიცხონ ტაძრის მშენებლობის ანგარიშზე. ამისათვის მათ უნდა მიმართონ შესაბამის ბანკს და გააფორმონ ავტომატური გადარიცხვის მომსახურება ბანკის ოპერატორის დახმარებით.
- ასევე შეგიძლიათ, ნებისმიერი სატელეფონო ოპერატორიდან თვეში ერთხელ დარეკოთ ნომერზე 09 01 777777. ზარის ღირებულებაა 1 ლარი.

შენიშვნა: სახელმწიფო ან კერძო სტრუქტურებში დასაქმებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ორგანიზაციის ბუღალტერიას და თანხმობის შემთხვევაში სხვა თანამშრომლებთან ერთად ბუღალტერი უზრუნველყოფს ბანკში ავტომატური გადარიცხვის მომსახურების გაფორმებას. შესაბამისად, ხელფასიდან თქვენს მიერ მითითებული თანხა ყოველთვიურად ჩაირიცხება ტაძრის მშენებლობის ანგარიშზე.

ფონდის ვებგვერდის www.makhata.ge მეშვეობით თქვენ შეგიძლიათ ტაძრის მშენებლობის პროცესი იხილოთ პირდაპირ ეთერში.

ნებისმიერი ინფორმაციისათვის
დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე:
240 24 54 / 55 ან 214 04 84;

e-mail: info@iveriisa.ge
www.makhata.ge

ფონდი „ივერიისა“
თბილისი, 0160, პეკინის ქ. 28

ახათას მთაზე, თბილისში, შენდება ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი და სავანე. ეს ალბათ ამ ტაძარ-მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს ისტორიაში; ყოველი ქართველი, როცა შევა ამ ტაძარში, შევა თავის აშენებულ ღვთის სახლში...

ივერიის ღვთისმშობლის ხატი

999 წელს აღდგომის დღესასწაულზე ათონის მთაზე, ივერონად წოდებულ ქართულ მონასტერში, ზღვის ტალღებზე აღმართული მიბრძანდა ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი. ზღვიდან მისი გამობრძანების პატივი ქართველ ბერთა შორის სიწმინდით გამორჩეულ მამა გაბრიელს ხვდა წილად. იმ ადგილას, სადაც წმინდა გაბრიელმა ხატი გამოასვენა, საკვირველთმოქმედმა წყარომ ამოხეთქა, რომელიც დღემდე მოედინება და ყოველგვარ სულიერ და ხორციელ სნეულებათა მკურნალია.

XX საუკუნეში ღვთის თაყვანისცემისაგან განშორება საყოველთაო ხასიათს აღარებდა. შესაბამისად, უფალთან დაბრუნებაც საერთო სახალხო საქმეა. წმინდა სამების საკათედრო ტაძრის შემდგომ ღვთისმშობლის სავანის მშენებლობა მახათას მთაზე არის კიდევ ერთი საშუალება ჩვენი ერისათვის, მოინანიოს ღვთისგან განშორება. სწორედ ამიტომ უწოდა მისმა უწმიდესობამ ამ ტაძარს ქართველი ერის მეორე ავტოპორტრეტი.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, საგანგებოდ ამ პროექტის განსახორციელებლად დაფუძნდა ტაძრის მშენებლობის ფონდი „ივერიისა“, რომელსაც პაატა ბურჭულაძე ჩაუდგა სათავეში. პირველი შემოწირულობა ტაძრისათვის გაიღო მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ ილია II, თავისი წინაპრების, საქართველოს მეფეებისა და პატრიარქების სახელზე.

ამ მშენებლობაში ყოველთვიურად ათასობით ადამიანი წევრიანდება.

ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი და სამონასტრო კომპლექსი სწორედ ჩვენი ერთიანობითა და თანასწორობით იქნება განსაკუთრებული, მსოფლიოში არ არსებობს სხვა ანალოგი, როცა არა რომელიმე ბიზნესმენი ან ორგანიზაცია, არამედ ხალხი, თავისი კეთილი ნებითა და თანაბარი მონაწილეობით ააშენებს უდიდესი მნიშვნელობის სამონასტრო კომპლექსს. ღვთისმშობლის საკვირველთმოქმედი ხატის საადიდებლად აგებულ სულიერ სავანეში შესულ ყველა დედას შეეძლება თავისი შვილისთვის სიამაყით თქმა – ეს ტაძარი მე და შენ ავაშენეთ, მთელ საქართველოსთან ერთად!

პაატა ბურჭულაძე

ღვთისმშობლის სავანე მახათას მთაზე ყოველი ჩვენთაგანის ძალისხმევით უნდა აშენდეს. ამ სავანის მშენებლობაში მონაწილეობა უდიდესი პატივია, მაგრამ ამავე დროს იგი სერიოზული პასუხისმგებლობაც არის. მშენებლობის ყოველ მონაწილეს სამი უმთავრესი საქმის აღსრულება მოეთხოვება:

ლოცვა ტაძრის აშენებისათვის. ნებისმიერი საქმე, მით უფრო ღვთის სახლის შენება შეუძლებელია უფლის შეწევნის გარეშე. მშენებლობის მონაწილემ დღეში ერთხელ მაინც უნდა წარმოსთქვას ივერიის ღვთისმშობლის ხატის ტროპარი – „წმიდისაგან ხატისა შენისა, ჰოი, დედოფალო ღვთისმშობელო, სიმრთელენი და კურნებანი უხვად მოეცემიან ყოველთა სარწმუნოებით და სიყვარულით მისდა მოლტოლვილთა, ამისთვის ჩემსაცა უძლურებასა მოხედენ და შეიწყალე სული ჩემი, სახიერო, ხოლო ხორცით განმკურნე, მადლითა შენითა ყოვლადწმიდაო.“

მოწოდება მშენებლობაში გაერთიანებისათვის და მსურველთა გაწევრიანებაში დახმარება. ადამიანთა ერთობა ერმერთთან და ერთმანეთთან უდიდესი ძალაა. უფალი ბრძანებს: „სადაც ორი ან სამი შეიკრიბება ჩემი სახელით, მე ვარ მათ შორის“. საქართველოს მართლმადიდებელთა ერთობა ამ საღმრთო საქმეში უძლეველი ციხე-სიმაგრე იქნება ჩვენი ქვეყნისა.

თანხის გადარიცხვა მშენებლობის ანგარიშზე. ყოველთვიურად, ყოველმა მონაწილემ მშენებლობისათვის უნდა გადარიცხოს სულ მცირე ერთი ლარი. თუ ვინმეს ამ მცირე თანხის გადახდა გაუჭირდება, გული არ უნდა გაიტეხოს. მთავარია, მას ჰქონდეს სურვილი ამ მშენებლობაში მონაწილეობისა და შეძლებისდაგვარად აღასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობანი. ასეთი პიროვნება ჩაითვლება მშენებლობის სრულუფლებიან მონაწილედ და მის სახელზე ჩაირიცხება იმ ადამიანთა ანგარიშიდან, ვინც ერთ ლარზე მეტი შესწირა.

პროექტის ავტორი:
ომარ ნაფეტვარიძე



მშენებლობაში მონაწილეობისათვის საჭირო, შევავსოთ სპეციალური ანკეტა. ანკეტის შევსება შეიძლება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ოჯახის უახლოესი წევრების სახელზეც. ანკეტაში მოხსენიებული ყოველი პიროვნება ჩაითვლება მშენებლობის სრულუფლებიან მონაწილედ. ანკეტაში ცოცხლებთან ერთად შესაძლებელია გარდაცვალებულთა სახელების ჩაწერაც.

მშენებლობაში გაერთიანებულთა სახელები გამოქვეყნდება ფონდის ვებგვერდზე www.makhata.ge და ასევე შევა საგანგებო წიგნში, რომელიც დაცული იქნება მთავარი ტაძრის საგანძურში.